



MES 1 21 0000544217



09/06/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

**სხდომის თარიღი: 25.05.2021**

**სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ**

**სხდომის დასრულების დრო: 22:45 სთ**

**საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი**

**საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

**1. ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;

2. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ელენე ჟურავლიოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
7. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
8. **გიორგი დაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
10. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
11. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
12. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
13. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
14. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;
16. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

**სხდომაზე დამსწრე პირები:**

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები"**

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1.	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2.	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3.	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

4.	ანა ლელაძე	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
----	------------	--

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ირაკლი კორძაია	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი	I, II
2.	ლელა თურმანიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	I, II
3.	დავით დევაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი	I, II
4.	გულადი ფარტენაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
5.	მიხეილ დონაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
6.	ვახტანგ ბერიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
7.	ზაზა დავითაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
8.	ირმა შიოშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის რექტორი	III

9.	შალვა ჭკადუა	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
10.	მზია მაისურაძე	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	III
11.	მაგდა დავითაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	III
12.	დარეჯან მარგალიტაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
13.	ნინო მოდებაძე	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამების კოორდინატორი	III
14.	ალექსანდრე ბენაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის თანახელმძღვანელი	III
15.	სვიმონ ოხანაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის თანახელმძღვანელი	III
16.	მარიამ ზაქარიაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის თანახელმძღვანელი	III
17.	დავით თარხნიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის დეკანი	IV
18.	არჩილ მაღალაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	IV
19.	მიხეილ ელაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	IV
20.	ზურაბ ჯავახიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	IV
21.	თეა გოდოლაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	
22.	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II

2	მარინე ხიზანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
4	ბაქარ დუაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
5	ნანა არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	შალვა კელეპტრიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	მალხაზ ღვინჯილია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	გიორგი ბრეგვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
10	ცოტნე ცაავა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.**

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის,, კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის,, კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - იაკობგოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის " ი ნ ფ ო რ მ ა ც ი უ ლ ი ტ ე ქ ნ ო ლ ო გ ი ე ბ ი ს " საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის,, კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის,, კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - იაკობგოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	25.11.2011 გადაწყვეტილება №35
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კომპიუტერული მეცნიერებები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი, ბათუმი, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - ანზორ ბერიძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებათან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

## **პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

### **ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 18-19 თებერვალს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით Online რეჟიმში, გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან. ასევე Online რეჟიმში ვიდეოჩართვით განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები. ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

სსიპ -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველის სტანდარტი** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორე სტანდარტი** სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამე სტანდარტი** სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხე სტანდარტი** სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთე სტანდარტი** სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

პროგრამის მიზნებში პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია განსაზღვრულია სწავლების სფეროს კლასიფიკატორში მოცემული დეტალური სფეროს „პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი 0613“ შესაბამისად და სახელწოდებაში ასახულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია „კომპიუტერული მეცნიერება“. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის თანახმად „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად...“, თუმცა წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში მიზნების აქცენტები კეთდება ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ინფორმაციულ

სისტემებზე, რომლებიც სხვა მომიჯნავე კვალიფიკაციაა. არაა გამოკვეთილი კომპიუტერული მეცნიერების ცოდნის არეები - ალგორითმები, დაპროგრამების ენები და სხვა.

პროგრამაზე დაშვების პირობებში მოცემულია ზოგადი ჩანაწერი და მოიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტი მოქმედი წესების შესახებ, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, უნივერსიტეტის წესდება) არ შეიცავს ჩანაწერს სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესის შესახებ. ავტორიზაციის 5.1. სტანდარტის შესაბამისად „უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები“.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ სასწავლო კურსებთან დაკავშირებული რიგი რეკომენდაციები დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ სწავლის შედეგების შეფასებისათვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სწავლის შედეგების შეფასება. სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება სხვადასხვა გამოკითხვებს და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კვლევას სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე. დოკუმენტი ზოგადი ხასიათისაა და არაა განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების დადგენის და შეფასების მექანიზმი პროგრამის ან/და საგნის სწავლის შედეგებთან მიმართებაში. წარმოდგენილ მასალებში მოცემულია ერთი სასწავლო წლის შესაბამისი საგნების აკადემიური მოსწრების სტატისტიკა, მაგრამ არაა გაანალიზებული რა ინფორმაცია ამის საფუძველზე მიღებული - დამაკმაყოფილებელია თუ არა შედეგი, რა ქმედებები უნდა განხორციელდეს და როდის პროგრამის გასაუმჯობესებლად. თვითშეფასებაში მოცემულია ზოგადი ჩანაწერი “დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე პროგრამის გუნდი ახდენს პროგრამის შეფასებას და საგანმანათლებლო პროგრამის/ ცალკეული სასწავლო კურსის განვითარების მიზნით გეგმავს ცვლილებებს, რომლებიც განიხილება დარგობრივ დეპარტამენტში, ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომებზე“.

### **ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. მიზნების აღწერაში გაძლიერდეს აქცენტი კომპიუტერული მეცნიერების ფუნდამენტურ ცოდნის მხარეებზე;
2. შემუშავდეს მკვეთრად გაწერილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც უნდა მოიცავდეს: მიღწევადობის სამიზნე ნიშნულებს სწავლის თითოეული შედეგისათვის და ჯამურად პროგრამისათვის. სწავლის შედეგების რუკის შესაბამისად უნდა განისაზღვროს შესაბამისი საგნის სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნული, საგნის შეფასების რომელი კომპონენტით ფასდება კონკრეტული სწავლის შედეგი და ა.შ. ;
3. უნივერსიტეტის შესაბამის დებულებებში ჩაიწეროს სტუდენტის სტატუსის მოპოვების მკაფიოდ წესი;
4. დეტალურად გაიწეროს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
5. ძირითად საგანთა ნუსხაში დაემატოს დისციპლინები კომპიუტერული მეცნიერების ცოდნის არეებიდან დისკრეტული სტრუქტურები ინტელექტუალური სისტემების, ინფორმაციის უსაფრთხოების, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის და სხვა შესაბამისი საგნები;
6. საგნები “ინფორმაციის მენეჯმენტი I” და “ინფორმაციის მენეჯმენტი II” გაერთიანდეს საგნად „მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები“, გადავიდეს არჩევით ბლოკში,
7. საგანი „მონაცემთა ბაზები“, გადმონაცვლდეს ძირითად საგნების ნუსხაში;
8. მოხდეს საგნების „კომპიუტერის არქიტექტურა I“ და „კომპიუტერის არქიტექტურა II“ გაერთიანება;



9. გადანაცვლდეს საგანი „კომპიუტერული მოდელირების სისტემა MathCad“ არჩევით საგანთანუსხაში;

10. დაემატოს მათემატიკური საგნების ბლოკს საგანი „დისკრეტული მათემატიკა“ ან „დისკრეტული სტრუქტურები“;

11. შემუშავდეს პროგრამაში ჩართული პერსონალის ხარისხის შეფასების პროცესში მონაწილეობის პროცედურა/წესი - როგორ, რითი და რა სიხშირით განსაზღვრავს სწავლის შედეგის მიღწევადობას კონკრეტულ საგანში, რის საფუძველზე გეგმავს ცვლილებებს, როგორ ახდენს ცვლილებების ინიცირებას და ა.შ.;

12. შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასებაში მონიტორინგის შედეგების გათვალისწინების მექანიზმი.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით; ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია: უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო ორი წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; პირებისთვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ სასწავლო კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პროგრამას დაშვების განსაკუთრებული წინაპირობა არ გააჩნია, დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას და გამოთქვამს მზაობას, რომ აღნიშნული პროგრამისთვის დაშვების წინაპირობა იქნება დაზუსტებული და ასახული საგანმანათლებლო პროგრამაში.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, სასწავლო კურსი „ინფორმაციის უსაფრთხოება“ დაემატება სპეციალობის არჩევით კურსებს. რაც შეეხება სასწავლო კურსებს „ინტელექტუალური სისტემები“ და „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია“, სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით ისინი წარმოდგენენ უფრო ფუნდამენტურს და მოიცავენ საკითხების ფართო სპექტრს რის გამოც არ არის წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამაში და ისწავლება მაგისტრატურის საფეხურზე. ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით საბაკალავრო საფეხურისთვის „ინტელექტუალური სისტემების“ ალტერნატიული სასწავლო კურსი „შესავალი ხელოვნურ ნეირონულ ქსელებში“ თავისუფალი კომპონენტიდან გადმოტანილი იქნება სპეციალობის არჩევით კურსებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-6 რეკომენდაციაზე, კერძოდ შესაბამისი საგნების გაერთიანება და გადანაცვლება არჩევით ბლოკში დაარღვევს პროგრამის ცოდნის წინაპირობების სტრუქტურას. შესაბამისი სილაბუსები, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ნაწილი მონაცემთა ბაზების მართვის ყველა ძირითად საკითხს მოიცავს. ამ საკითხების ცოდნა კი აუცილებელია სხვა მომდევნო სასწავლო კურსების ათვისებისათვის და შესაბამისად მისი გადატანა არჩევით ბლოკში არ იქნება მიზანშეწონილი

რაც შეეხება მე-8 რეკომენდაციას, სამუშაო ჯგუფის აზრით სასურველია ეს საგნები იყოს თანმიმდევრული, რადგან პარალელურად ისწავლება სხვა სასწავლო კურსები რომლებიც ლოგიკურ ბმაშია ერთმანეთთან და რომელზედაც აგებულია არჩევითი სასწავლო კურსები.

პროგრამის სტრუქტურა და წინაპირობები არ იძლევა ამის საშუალებას და ამიტომაცაა გადანაწილებული ორ სემესტრში, თუმცა რეკომენდაციის გათვალისწინებით მოხდება ამ სილაბუსების შინაარსის და შედეგების სრულყოფა.

პროგრამის ხელმძღვანელმა მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „კომპიუტერული მოდელირების სისტემა MathCad“-ის ნაცვლად წარმოდგენილი იქნება „კომპიუტერული მოდელირების სისტემები“. „კომპიუტერული მოდელირების სისტემებში“ ამ ეტაპზე ინსტრუმენტის სახით წარმოდგენილია MathCad, შემდეგში ეს შეიძლება იყოს Matlab, Mathematika და სხვ. ეს სასწავლო კურსი საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია მე-2 სემესტრში და წინაპირობაა სასწავლო კურსისა - „რიცხვითი ანალიზი“, რომელიც ისწავლება შემდეგ სემესტრში. ამასთან „რიცხვითი ანალიზი“ სასწავლო კურსის ლაბორატორიული სამუშაოები ამ ეტაპზე ორიენტირებულია დაპროგრამების ენა C++ და „კომპიუტერული მოდელირების სისტემების“ (MathCad)-ის გამოყენებაზე. ამ სასწავლო კურსის არჩევით საგანთა ნუსხაში გადატანა შეუძლებელს გახდის მის გამოყენებას „რიცხვითი ანალიზი“, „მათემატიკური დაპროგრამება“, „მოდელირება და სიმულა-ციები“, „ოპერაციათა კვლევა“ და სხვა სასწავლო კურსების სრულფასოვნად შესწავლისათვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელმა მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ acm.org-ის რეკომენდაციაში მოცემული დისკრეტული სტრუქტურების საკითხები გათვალისწინებულია სხვადასხვა დისციპლინებში (კალკულუსი I, კალკულუსი II, ალბათობა და სტატისტიკა, რთული ალგორითმების ანალიზი, ოპერაციათა კვლევა), სადაც შესაძლებელია ამავე სილაბუსებში საკითხების გაღრმავება.

მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-2, მე-11 და მე-12 რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის №10 გადაწყვეტილებითა და „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველ-ყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებისა და კვლევის მაღალ ხარისხს; საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას; პერსონალის მაღალ კვალიფიკაციას; სასწავლო რესურსებისა და სერვისების მაღალი ხარისხს; სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციას; პერიოდულ და ეფექტურ მონიტორინგს, შეფასებას და რეაგირებას. ბსუ-ს ხარისხის პოლიტიკა კი გამოხატავს უნივერსიტეტის ხარისხის გან-ვითარების ძირითად მიმართულებებს, წარმომადგენს ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის სახელმძღვანელოს და ეფუძნება უწყვეტობის, გამჭვირვალობის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს, ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობის უწყვეტ შეფასება-განვითარებას, მდგრადობას, შიდა ხარისხის კულტურის ზრდას და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას. პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვა ხდება მონაცემთა განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზის გზით. ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხდება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროგრამის სწავლის შედეგებსა და სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის დადგენით. პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტურ განხორციელებას და განვითარებას კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტთან ერთად ხელს უწყობს და კოორ-დინირებას უწევს უნივერსიტეტის და ფა-კულ-ტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად უნივერსიტეტში გამოიყენება შემდეგი მექანიზმი: ა) საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების რუკის მიხედვით შეფასების სხვადასხვა მეთოდის ადეკვატურობის განსაზღვრა და რეკომენდაციების გაწევა; ბ) ლექციებისა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება, რომელიც იძლევა საშუალებას განისაზღვროს შეფასების მეთოდებისა და განხორციელების რელევანტურობა; გ) გამოცდების

და მიმდინარე შეფასების ანალიზი, რომელიც იძლევა წარმოდგენას სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე; დ) სტუდენტთა გამოკითხვა; ე) კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; ვ) დამსაქმებელთა გამოკითხვა. პროგრამაში მონაწილე პერსონალის ხარისხის შეფასების პროცესში ჩართულობა ითვალისწინებს: საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობას; სილაბუსების, სასწავლო მასალების განახლებასა და სრულყოფას; სასწავლო პროცესის მონიტორინგის, რეკომენდაციების და სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგების საფუძველზე დარგობრივ დეპარტამენტში ცვლილებების ინიცირებას და სხვა აქტივობებს. დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის, მონიტორინგის შედეგების, რეკომენდაციების და პროფესორ-მასწავლებლების ინიცირების საფუძველზე პროგრამის გუნდი პროგრამის ხელმძღვანელები, განმახორციელებელი პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და კურიკულუმის კომიტეტი ახდენს პროგრამის შეფასებას და საგანმანათლებლო პროგრამის/ ცალკეული სასწავლო კურსის განვითარების მიზნით გეგმავს ცვლილებებს, რომლებიც განიხილება დარგობრივ დეპარტამენტში, ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომებზე. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით ხორციელდება გამოცდების ორგანიზებისა და მიმდინარეობის მონიტორინგი და შედეგების ანალიზი. ბსუ-ში მოქმედი გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის მიხედვით, დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საგამოცდო მასალების, გამოცდების ჩატარების და სტუდენტთა ნაშრომების შეფასების მონიტორინგს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც განიხილება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. პროგრამის მიზნები მიღწევადაა, პროგრამის თითოეული მიზანი დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან. სწავლის შედეგების რუკა ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგები. ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, ინსტიტუციამ რჩევის სახით მიიღო ექსპერტთა რეკომენდაცია და აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შეიმუშავა სწავლის შედეგების მიღწევადობის სამიზნე ნიშნულები, რაც მეტად დაეხმარება დაწესებულებას სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასებაში.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, უნივერსიტეტს აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და აღდგენის ნორმატიული დოკუმენტები. კერძოდ, ბსუ-ს წესდება, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 111-ე დადგენილება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 55-ე დადგენილება „კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“. აქვე მოგახსენებთ, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია ასევე ასახულია ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევაში. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ინსტიტუტის მიერ არ იქნა დაკონკრეტებული თუ რომელი საგნებით უნდა მოხდეს სტუდენტი უნივერსიტეტში, ვინაიდან ყოველ სასწავლო წელს აკადემიური საბჭო შეიმუშავებს კოეფიციენტსა და საგნებს, რაც ქვეყნდება დაწესებულების ვებ-გვერდზე და ასევე ხდება ინფორმაციის მიწოდება ღია კარის დღეებზე. აღნიშნული ინფორმაცია პროგრამაში არ არის მოცემული, თუმცა ექსპერტების რეკომენდაციიდან გამომდინარე, აუცილებლად მიეთითება შესაბამის დოკუმენტში.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ დეტალურად გაეცნო ექსპერტთა დასკვნას და 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით არსებულ მოსაზრებას ეთანხმება, თუმცა რეკომენდაციაში ბიუჯეტის საკითხთან დაკავშირებით არაფერია აღნიშნული. შესაბამისად, მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, დავით კაპანაძემ აღნიშნა „დაპროგრამების საფუძვლების“ სასწავლო კურსი და განმარტა რომ მოცემული ისწავლება პირველ სემესტრში, შესაბამისად, სტუდენტს, რომელსაც არ აქვს გამოცდილება დაპროგრამებაში შეძლებს თუ არა მე-2 სემესტრში სასწავლო კურსების

დაძლევას. გარდა ამისა „მონაცემთა სტრუქტურებში“ მოცემული საკითხის გარდა გათვალისწინებულია ასევე ალგორითმებიც, შესაბამისად უმჯობესი იქნება, სასწავლო კურსი სახელი შეიცვალოს შემდეგნაირად- „მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები“.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ „რობოტოტექნიკის საფუძვლების“ სილაბუსში მოცემულია მხოლოდ კომპიუტერული არქიტექტურის საკითხები, მისი აზრით ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ასევე, რომ რეკომენდაციების მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო კურსების შეერთება, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ გამოიყენებს სტუდენტი შეერთების შედეგად დარჩენილ 10 კრედიტს.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ თუ სტატუსის მოპოვების დოკუმენტში აღმოიფხვრება ტექნიკური ხარვეზი, მოხდება მე-3 და მე-4 რეკომენდაციების გადაფარვა.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სასწავლო კურსების გადანაწილების სტრუქტურა სრულიად მისაღებია შედეგებზე გასასვლელად.

რაც შეეხება „მონაცემთა სტრუქტურებსა და ალგორითმებს“, ზოგადად იგულისხმება, რომ მონაცემთა სტრუქტურები მოიცავს ალგორითმულ ნაწილსაც, ხოლო თავად ალგორითმული ნაწილი კიდევ განსხვავებული საკითხებისგან შედგება, შესაბამისად სახელწოდების ცვლილებით არაფერი შეიცვლება.

შეერთებასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია მრავალი სასწავლო კურსი და შესაბამისად სტუდენტს თავისუფლად შეუძლია 10 კრედიტის ფარგლებში აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ არ გაცნობია „რობოტოტექნიკა“-ს სილაბუსს და შესაბამისად არ აქვს ინფორმაცია მისი შინაარსის შესახებ.

რაც შეეხება 4.4 კომპონენტს, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა ხორციელდება ერთიანი ბიუჯეტიდან. შესაბამისად, პროგრამებს ცალკე გამოყოფილი ბიუჯეტი არ აქვთ, მაგრამ წარმოდგენილი იქნა „კომპიუტერული მეცნიერება“ საბაკალავრო პროგრამის ხარჯთაღრიცხვა ზოგადი სახით, სადაც გაწერილია პროგრამის სავარაუდო შემოსავლები, პროფესორის ხელფასები და ზედნადები ხარჯები. ამ დოკუმენტში არ არის მოცემული აკადემიური პერსონალის მივლინებებისათვის გამოყოფილი თანხები. შესაბამისად, პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის სასურველია დაზუსტდეს საზღვარგარეთ მივლინებების დაფინანსების კომპონენტი და წახალისდეს აკადემიური პერსონალი საზღვარგარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის. რეალურად დაწესებულებას აქვს დაფინანსების მექანიზმები, შესაბამისად არ განხორციელდა საკითხის რეკომენდაციებისა თუ რჩევების სახით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში შემოსავლები გათვლილია 4 წელზე, რაც წარმოადგენდა 360 000 ლარს, ასევე მოცემული იყო ხარჯებიც, თუმცა ხარჯების ნაწილში წარმოდგენილი იყო მხოლოდ სახელფასო ფონდი. სხვა ხარჯები კი არ იყო გათვალისწინებული ბიუჯეტში.

ექსპერტმა განმარტა, რომ მოცემული საკითხი აღინიშნა გასაუბრებების დროს. კერძოდ დაფინანსება გათვალისწინებულია ცენტრალურ ბიუჯეტში და ცალკე პროგრამების მიხედვით არ არის მოცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა დააზუსტა უნდა ჰქონდეს თუ რა პროგრამას ცალკეული ბიუჯეტი მისი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ექსპერტმა განმარტა, რომ ცალკეული ბიუჯეტის ქონა სასურველია, თუმცა არა სავალდებულო. აღნიშნულს აქვს ფორმალური სახე.

## **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ტექნიკურად შესაძლებელია გარკვეული საგნების გაერთიანება, რაც არ გულისხმობს არსებული 10 კრედიტის გათავისუფლებას, უბრალოდ შესაძლებელია ორი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსის ერთ სემესტრში გათვალისწინება. სასწავლო კურსი დაყოფა გამოიწვია საკითხის ფართო მასშტაბმა, თუმცა აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსი ისწავლება ორ სემესტრში, ანუ გაყოფილია ორ ნაწილად. შესაბამისად, სასწავლო კურსების შეერთება არ გამოიწვევს კრედიტების გათავისუფლებას არამედ ერთ სემესტრში გათვალისწინებული იქნება 10 კრედიტიანი სასწავლო კურსი.

რაც შეეხება „მონაცემთა სტრუქტურებს“, მასში ასევე მოიაზრება ალგორითმების ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ინსტიტუციას სალექციო კურსების სტრუქტურებთან მიმართებით აქვს 20 წლიანი გამოცდლება, შესაბამისად სასწავლო კურსების შეერთებ არ გამოიწვევს არანაირ ცვლილებებს.

რაც შეეხება „რობოტოტექნიკის“ სასწავლო კურსს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსში სახეზეა ტექნიკური შეცდომა, რაც აუცილებლად გამოსწორდება.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 15:55**

**დასრულების დრო: 16:41**

**16:39- საბჭოს სხდომას შეუერთდა თამარ ჩხეიძე**

### **აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, დააჯგუფა და ფორმულირება შეუცვალა ექსპერტთა მიერ გაცემული რიგ რეკომენდაციებს, ხოლო 4.4 ქვეკომპონენტში დაამატა რეკომენდაცია და 4.4 ქვეკომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, თუმცა ამან არ გამოიწვია მე-4 სტანდარტის ცვლილება და შეფასება დარჩა „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

### **რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია მიზნების აღწერაში გამოიკვეთოს კომპიუტერული მეცნიერების ფუნდამენტური ცოდნის არეები, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;
- შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი პროგრამისათვის დეტალური აღწერით;
- უნივერსიტეტის შესაბამის დებულებებში მკაფიოთ ჩაიწეროს სტუდენტის სტატუსის მოპოვებს წესი, რის შედაგადაც მკაფიოდ გამოიხატება პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- ძირითად საგანთა ნუსხაში დაემატოს დისციპლინები კომპიუტერული მეცნიერების ცოდნის არეებიდან ინტელექტუალური სისტემების, ინფორმაციის უსაფრთხოების, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის და სხვა შესაბამისი საგნები;
- საგნები „ინფორმაციის მენეჯმენტი I“ და „ინფორმაციის მენეჯმენტი II“ გაერთიანდეს საგნად „მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები“, გადავიდეს არჩევით ბლოკში, საგანი „მონაცემთა ბაზები“, გადმონაცვლდეს ძირითად საგნების ნუსხაში;
- მოხდეს საგნების „კომპიუტერის არქიტექტურა I“ და „კომპიუტერის არქიტექტურა II“ გაერთიანება;
- გადანაცვლდეს საგანი „კომპიუტერული მოდელირების სისტემა MathCad“ არჩევით საგანთა ნუსხაში;

- დაემატოს მათემატიკური საგნების ბლოკს საგანი „დისკრეტული მათემატიკა“ ან „დისკრეტული სტრუქტურები“;
- მოხდეს კომპიუტერის არქიტექტურის სილაბუსების შეჯერება და წარმოდგენა ერთი საგნის სახით კომპიუტერის არქიტექტურის საყოველთაო დმილებული კონცეპტების შესაბამისობით;
- საგანი „მონაცემთა ბაზები“ თავისუფალი კომპონენტებიდან გადანაცვლდეს სპეციალობის სავალდებულო საგნებში;
- შეიცვალოს საგნების „ინფორმაციის მენეჯმენტი I და II“ სათაურები შინაარსის შესაბამისად და დაემატოს არჩევით საგანთა ბლოკს;
- პროგრამის მდგრადობის მიზნით, დეტალურად გაიწეროს პროგრამის ბიუჯეტი;
- შემუშავდეს პროგრამაში ჩართული პერსონალი სხარისხის შეფასების პროცესში მონაწილეობის პროცედურა/წესი-როგორ, რითი და რა სიხშირით განსაზღვრავს სწავლის შედეგის მიღწევადობას კონკრეტულ საგანში, რის საფუძველზე გეგმავს ცვლილებებს, როგორ ახდენს ცვლილებების ინიცირებას და ა.შ;
- შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასებაში მონიტორინგის შედეგების გათვალისწინების მექანიზმი.

### რჩევები:

- მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტთა ინფორმირებულობას გაცვლითი პროგრამების დადებითი მხარეების, მისი მნიშვნელობის გასაცნობად;
- გაიზარდოს აგიტაცია გაცვლით პროგრამებით უფრო მეტი სტუდენტის დასაინტერესებლად და მათში მონაწილეობის მისაღებად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

**2. მეორე საკითხი:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	03.07.2012 გადაწყვეტილება №15
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კომპიუტერული მეცნიერებები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი, ბათუმი, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - ანზორ ბერიძემ

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ექსპერტთა დასკვნაში ფიქსირდებოდა შეფასების მხრივ ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ პირველ სტანდარტთან მიმართებით ერთი კომპონენტი მეტწილად, ხოლო მეორე სრულად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. ვინაიდან ერთი მეტწილი არ ცვლის სტანდარტის შეფასებას, პირველი სტანდარტი მოცემული უნდა იყოს როგორც შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

გარდა ამისა ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მე-5 სტანდარტში 5.3 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემულია რეკომენდაცია, რომელიც დასკვნის დასაწყისში რეკომენდაციების თანმოყრაში მოცემულია, თუმცა 5.3 კომპონენტში ჩაშლილად შესაბამის გრაფაში არ არის აღნიშნული. შესაბამისად, მე-5 სტანდარტი განსაზღვრულია როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

## **მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა**

### **საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 18-19 თებერვალს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან. ასევე Online რეჟიმში ვიდეოჩართვით განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები. ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

სსიპ -ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველი სტანდარტი** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორე სტანდარტი** სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამე სტანდარტი** სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხე სტანდარტი** სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთე სტანდარტი** სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;



## **ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. შემუშავდეს მკვეთრად გაწერილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც უნდა მოიცავდეს: მიღწევადობის სამიზნე ნიშნულებს სწავლის თითოეული შედეგისათვის და ჯამურად პროგრამისათვის. სწავლის შედეგების რუკის შესაბამისად უნდა განისაზღვროს შესაბამისი საგნის სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნული, საგნის შეფასების რომელი კომპონენტით ფასდება კონკრეტული სწავლის შედეგი და ა.შ.;
2. ძირითად საგანთა ნუსხაში დაემატოს დისციპლინები კომპიუტერული მეცნიერების ცოდნის არეებიდან ინტელექტუალური სისტემების, ინფორმაციის უსაფრთხოების, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის და სხვა შესაბამისი საგნები;
3. პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი გახდეს მხოლოდ სავალდებულო საგნებით.;
4. საგნები, Web დაპროგრამების ტექნოლოგიები, IT - პროექტების მენეჯმენტი, ნივთების ინტერნეტი (IOT), დარგობრივი ინგლისური გადანაცვლდნენ არჩევით ბლოკში;
5. საგნები, ინტელექტუალური სისტემები, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია, სირთულის თეორია, დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავება, მონაცემთა სტრუქტურების გადრმავებული კურსი, გადანაცვლდნენ ძირითად ბლოკში;
6. დაკორექტირდეს ცალკეული სილაბუსები („მონაცემთა ბაზების შემუშავება და მართვა“, „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“, „დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „Web დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „IT პროექტების მენეჯმენტი“) და გახდეს სწავლების საფეხურის შესაბამისი;
7. შემუშავდეს პროგრამაში ჩართული პერსონალის ხარისხის შეფასების პროცესში მონაწილეობის პროცედურა/წესი - როგორ, რითი და რა სიხშირით განსაზღვრავს სწავლის შედეგის მიღწევადობას კონკრეტულ საგანში, რის საფუძველზე გეგმავს ცვლილებებს, როგორ ახდენს ცვლილებების ინიცირებას და ა.შ.;
8. შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასებაში მონიტორინგის შედეგების გათვალისწინების მექანიზმი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა სასწავლო კურსებს, მათ შეერთებასა და გადანაცვლებას დაწესებულების მიერ გაზიარებულია, რასაც ასევე ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

## **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით სამუშაო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება სასწავლო კურსები - „ინტელექტუალური სისტემები“, „სირთულის თეორია“, „დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავება“, „მონაცემთა სტრუქტურების გადრმავებული კურსი“ არჩევითი ბლოკიდან გადმოტანილი იქნას სპეციალობის ძირითად ბლოკში.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლის შედეგები ეყრდნობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისი (მეშვიდე) დონის აღმწერს და პროგრამის მიზნებს, რაც ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე. პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ, თუმცა ამ პროცესში ასევე ჩართული იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები. ანალიზის შედეგად კი მოხდა შესაბამისი ცოდნისა და უნარების ასახვა სწავლის შედეგებში. რეკომენდაციის

შესაბამისად არჩევითი კურსებიდან გარკვეული საგნების („ინტელექტუალური სისტემები“, „მონაცემთა სტრუქტურების გადმავებული კურსი“, „სირთულის თეორია“ და „დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავება“) გადმოტანა ძირითად ბლოკში ამყარებს სწავლის შედეგების მიღწევადობას სავალდებულო საგნებით.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსების „IT პროექტების მენეჯმენტი“, „ნივთების ინტერნეტი (IOT)“ სტატუსი, პროგრამაზე მუშაობის დროს დამსაქმებლის რეკომენდაციით შეიცვალა და განისაზღვრა სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსით. ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით სამუშაო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება „Web დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „IT - პროექტების მენეჯმენტი“, „ნივთების ინტერნეტი (IOT)“, „დარგობრივი ინგლისური ენა“ სასწავლო კურსის სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალთან არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალში გადატანის შესახებ.

აღსანიშნავია ასევე მე-5 რეკომენდაცია, კერძოდ ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით სამუშაო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება სასწავლო კურსები - „ინტელექტუალური სისტემები“, „სირთულის თეორია“, „დიდი მოცულობის მონაცემთა დამუშავება“, „მონაცემთა სტრუქტურების გადრმავეებული კურსი“ გადმოტანილი იქნას სპეციალობის ძირითად კურსებში, ხოლო „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის“ სასწავლო კურსის არჩევითი საგნების ბლოკში დატოვება ვერ იქონიებს გავლენას პროგრამის მიზნებსა და შედეგებზე.

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, სამუშაო ჯგუფმა სილაბუსების ავტორებთან ერთად იმსჯელა/იმუშავა ამ საკითხზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დარგის სწრაფად ცვალებადი ბუნების გამო აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო კურსის შინაარსის გადახედვა და განახლება (აქტუალური და კვლევისთვის მნიშვნელოვანი საკითხების წინ წამოწევა, შესაბამისი ახალი ლიტერატურის შეთავაზება და მნიშვნელოვანი საკითხების ჩანაცვლება) ხდება ყოველწლიურად. რეკომენდაციაში მითითებული სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი საკითხები შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურის შესაბამის მოთხოვნებს. ასევე დაწესებულება ითვალისწინებს ექსპერტთა მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებს და აღნიშნულ სილაბუსებში განხორციელდება გარკვეული საკითხებისა და შედეგების ცვლილება/დაზუსტება რაც მკვეთრად გამოხატავს სწავლების საფეხურთან შესაბამისობას.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ აღნიშნა, რომ რეკომენდაციების მიხედვით, რომლებიც ეხება სასწავლო კურსების სავალდებულოდან არჩევითში გადატანას და პირიქით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება გადის თუ არა პროგრამა სწავლის შედეგებზე. ასევე რეკომენდაციაში გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსების დამატების საკითხი, შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა საჭიროებს თუ არა აკადემიური პერსონალის ცვლილებასა და გადამზადებას, ვინაიდან დარგი საკმაოდ მზარდია. საბჭოს წევრმა დააზუსტა შესაძლებელია თუ არა აღნიშნული ხარვეზების სილაბუსების დამატებით გამოსწორება თუ ამისთვის დაწესებულება საჭიროებს ახალ აკადემიურ პერსონალს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ მაგისტრატურის საფეხურზე შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე გამოიკითხვა მხოლოდ 14 დამსაქმებელი. შესაბამისად დაინტერესდა თუ რამ გამოიწვია აღნიშნული, კერძოდ მისი თქმით, საყურადღებოა, რომ საბაკალავრო საფეხურზე გამოიკითხა 121, ხოლო სამაგისტროზე მხოლოდ 14 დამსაქმებელი.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომების ნაწილის სათაურები ცოტა გაუგებარია და საჭიროებს მეტ კონკრეტიკას. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორი იყო სამაგისტრო ნაშრომების შესაბამისობა სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან.

საბჭოს წევრმა, დავით კაპანაძემ აღნიშნა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული მე-4 რეკომენდაცია და განმარტა, რომ ბაკალავრიატის საფეხურზე არ არის გათვალისწინებული პროექტების

მენეჯმენტი, შესაბამისად არჩევით კურსად გათვალისწინების შემთხვევაში სტუდენტმა ისე შეიძლება დაამთავროს სწავლა, რომ გავლილი არ ჰქონდეს პროექტების მენეჯმენტი.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომების სათაურებიდან გამომდინარე არ ჩანს კვლევითი ხასიათი, რაც სამაგისტრო საფეხურის აუცილებელი კომპონენტია. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა ნაწილი უჭირავს კვლევით კომპონენტს სამაგისტრო ნაშრომებში.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია არჩევითი საგნების საკმარისი რაოდენობა. შესაბამისად, დაინტერესდა თუ რატომ ჩაითვალა ექსპერტების მიერ საჭიროდ არჩევითი სასწავლო კურსების დამატება.

გარდა აღნიშნულისა საბჭოს წევრმა ისაუბრა მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით სამაგისტრო საფეხურზე მოითხოვება ინგლისური ენა B1 დონე. შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად საკმარისია B1 დონე სამაგისტრო საფეხურისთვის, რათა მაგისტრანტი გაეცნოს აუცილებელ ლიტერატურას და შეძლოს მისი გამოყენება.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მოცემული აქვს პროგრამის ანალოგები, რომელიც საკმაოდ დიდი ჩამონათვალია. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა არის თუ არა მოცემული პარტნიორი უნივერსიტეტების ლინკები და როგორ გაიზიარა დაწესებულებამ მათი პრაქტიკა.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შედეგების რუკაში სავალდებულო საგნები არის მითითებული სწავლის შედეგებზე გასასვლელად, შესაბამისად საგნების გადანაცვლება აბსოლუტურად უზრუნველყოფს შედეგებზე გასვლას.

რაც შეეხება არჩევითი საგნების რაოდენობის გაზრდას, აღნიშნული წარმოადგენს რჩევას პროგრამის განვითარებისთვის. პროგრამაში მოცემული არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა უზრუნველყოფს სწავლების შედეგებზე გასვლას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წინა აკრედიტაციის პერიოდში პროგრამა წარმოდგენილი იყო სხვა სახელწოდებით, შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომების ფარგლებში აქცენტი სხვა საკითხებზე იყო გამახვილებული. რაც შეეხება უშუალოდ სათაურებს, ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით როგორც საერთაშორისო ისე ეროვნული სტანდარტისა და პრაქტიკის მიხედვით სავალდებულოდ არ არის გათვალისწინებული მენეჯმენტი.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა უცხო ენის დონესთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ B2 დონე რა თქმა უნდა სასურველია, თუმცა გასათვალისწინებელია თავად დარგის სპეციფიკა. B1 დონეზე თუ იცის სტუდენტმა ინგლისური მას თავისუფლად შეუძლია მასალის შესწავლა და გააზრება, თუმცა შეიძლება გაუჭირდეს ნაშრომის ინგლისურ ენაზე წარმოდგენა, სხვა მხრივ ხარვეზი არ არის.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ექსპერტებს გადაუგზავნა 15 დან 20 მდე სამაგისტრო ნაშრომი, რომლებთაგანაც ექსპერტებმა შემთხვევითობის პრინციპით აირჩიეს 3. რა თქმა უნდა ყველა ნაშრომი ვერ იქნება ერთნაირი. ბოლო 5 წლის განმავლობაში, მაგისტრების მიერ მომზადდა ნაშრომები, რომლებიც წარსდგა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე და მოხვდა სკოპუსის ბაზების ინდექსირებულ ჟურნალებში.

რაც შეეხება არჩევით საგნებს, მათი რაოდენობა საკმაოდ ბევრია, თუმცა მოთხოვნის შესაბამისად აუცილებლად დაემატება არაერთი არჩევითი სასწავლო კურსი.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო ინგლისის უნივერსიტეტების პრაქტიკა, რომელთა სილაბუსებთან დაწესებულება დღემდე ხელმძღვანელობს. სხვადასხვა პროექტის ფარგლებში დაწესებულებას ასევე ჰქონდა ურთიერთობა გერმანულ უნივერსიტეტებთან. ინსტიტუციას ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმები არა ერთ უცხოურ უნივერსიტეტთან.

რაც შეეხება გამოკითხულ დამსაქმებლებს, აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლებს ელექტრონულად გაეგზავნათ კითხვარი და შესაბამისად იმ დამსაქმებლებმა რომლებმაც საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მიიღეს მონაწილეობა არ ჩათვალეს საჭიროდ გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება სამაგისტრო პროგრამის ფარგლებშიც.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 17:11**

**დასრულების დრო: 18:09**

### **აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, ფორმულირება შეუცვალა რიგ რეკომენდაციებს, დაამატა რეკომენდაციები 2.1, 2.2, 2.3, 2.4 და 4.4 ქვეკომპონენტებში, შედეგად 2.1, 2.4 და 4.4 ქვეკომპონენტები შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა ამის შედეგად არ შეცვლილება მთლიანად მე-2 და მე-4 სტანდარტების შეფასებები.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

### **რეკომენდაციები:**

- შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი პროგრამისათვის დეტალური აღწერით;
- რეკომენდირებულია დაზუსტდეს უცხო ენის წინაპირობა და მაგისტრატურაში მისაღებ ინგლისურ ენაში განისაზღვროს B2 დონე;
- საგნები, Web დაპროგრამების ტექნოლოგიები, ნივთების ინტერნეტი (IOT), გადანაცვლდნენ არჩევით ბლოკში;
- საგნები, ინტელექტუალური სისტემები, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია გადანაცვლდნენ ძირითად ბლოკში;
- შემუშავდეს სავალდებულო საგანი, რომელიც დაფარავს სირთულის თეორია და მონაცემთა სტრუქტურების სფეროებს;
- შემუშავდეს სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამული პროექტების მართვის თაობაზე, კომპიუტერული მეცნიერებების პროფილის/დარგის შესაბამისად (მაგ: პროგრამული პროექტების მენეჯმენტი);
- მიზანშეწონილია, პროგრამის სწავლის რუქა შებამისობაში მოვიდეს 2.2 ქვესტანდარტით გათვალისწინებულ რეკომენდაციებთან;
- დაკორექტირდეს და შესაბამისობაში მოვიდეს ცალკეული სილაბუსები სწავლების საფეხურთან („მონაცემთა ბაზების შემუშავება და მართვა“, „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“, „დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „Web დაპროგრამების ტექნოლოგიები“);
- დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი, მათ შორის ციტირების წესი და მკაცრად გადამოწმდეს სამაგისტრო ნაშრომების გამოყენებული ლიტერატურის აკადემიური ვალიდურობა;
- პროგრამის მდგრადობის მიზნით, დეტალურად გაიწეროს პროგრამის ბიუჯეტი;

- შემუშავდეს პროგრამაში ჩართული პერსონალის ხარისხის შეფასების პროცესში მონაწილეობის პროცედურა/წესი-როგორ, რითი და რა სიხშირით განსაზღვრავს სწავლის შედეგის მიღწევადობას კონკრეტულ საგანში, რის საფუძველზე გეგმავს ცვლილებებს, როგორ ახდენს ცვლილებების ინიცირებას და ა.შ;
- შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასებაში მონიტორინგის შედეგების გათვალისწინების მექანიზმი.

**რჩევები:**

- გაიზარდოს სპეცილობის არჩევითი კურსების რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

**3. მესამე საკითხი:** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.09 .2012 გადაწყვეტილება N 464
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0612 - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N1, ქ. თელავი, სასწავლო კორპუსი N1, 2200, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

### საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

### საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - დიანა მჭედლიშვილმა

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

### მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

#### საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტი სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა ვირტუალურად (Zoom პლატფორმის საშუალებით) 2021 წლის 26 თებერვალს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად 10:00 სთ-დან 18:20 სთ-მდე და მოიცავდა შეხვედრებს უნივერსიტეტის

ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან. მოეწყო გასაუბრება საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ჯგუფის წევრებმა ვირტუალურად დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დღის ბოლოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს წარუდგინეს ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებები. დაწესებულების წარმომადგენლები მომზადებულები შეხვდნენ ვიზიტს. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შეუქმნეს კომფორტული სამუშაო გარემო და უზრუნველყვეს მოთხოვნილი დოკუმენტაციის დროული მიწოდება.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველის ტანდარტი** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორე სტანდარტი** სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამე სტანდარტი** სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხე სტანდარტი** სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთე სტანდარტი** სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. მიზნების პირველ პუნქტში „კომპიუტერული მეცნიერების ფინდამენტური თეორიების და პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა“ შეიცვალოს ტექსტით „ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნდამენტური თეორიების და პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა“;
2. უნარების 2.6 პუნქტი გადავიდეს „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ შედეგში;
3. „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ - დაემატოს აკადემიური და პროფესიული პასუხისმგებლობის აღმწერი პუნქტი;
4. სასწავლო კურსი „პრეკალკულუსი“ ამოღებულ იქნას პროგრამიდან;
5. დაემატოს ძირითადი სასწავლო კურსები: „სისტემის ადმინისტრირება“ და „ადამიანი-კომპიუტერის ინტერაქცია“;
6. გამრავალფეროვნდეს არჩევითი სასწავლო კურსები, მათ შორის დაემატოს: „მობილური აპლიკაციები“, „ღრუბლოვანი ტექნოლოგიები“, „გეოგრაფიული საინფორმაციო (გის) სისტემები“;
7. დამატებით (minor) პროგრამას დაემატოს არჩევითი საგნები, რომ სტუდენტმა შეძლოს კონკრეტული მიმართულების სრულფასოვნად ათვისება (მაგ. ვებ პროგრამირების მიმართულებით სერვერული მხარის დაპროგრამება);
8. გაერთიანდეს სასწავლო კურსები „დაპროგრამების საფუძვლები“ და „დაპროგრამება (C++)“;
9. „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება და აპლიკაციები (C#)“ სასწავლო კურსში დაემატოს C# გრაფიკული დაპროგრამებისა და .NET ფრეიმვორკის გაცნობის საკითხები;
10. „კალკულუსი“ სასწავლო კურსში გადანაცვლდეს თემები 4 და 5 (დეტერმინანტები ისწავლებოდეს მატრიცების შემდეგ);
11. „ოპერაციული სისტემები“ სასწავლო კურსის შინაარსი და სათაური მოვიდეს შესაბამისობაში;
12. „კომპიუტერული გრაფიკა და მულტიმედია“ სასწავლო კურსი დაეთმოს კომპიუტერული გრაფიკის უფრო ზოგად საკითხებს;

13. „კომპიუტერული ქსელები“ სასწავლო კურსში დაემატოს თემები უკაბელო გადაცემის ტექნოლოგიების შესახებ;

14. „Web ტექნოლოგიების საფუძვლები (HTML&CSS)“ სასწავლო კურსში დაემატოს რესპონსული გვერდების აწყობის, მოდულარული CSS და CSS3-თან დაკავშირებული საკითხები;

15. „Web დაპროგრამება (JavaScript)“ სასწავლო კურსში გაღრმავდეს JQuery საკითხები და დაემატოს AJAX ტექნოლოგიის მიმოხილვა;

16. „Web დაპროგრამება PHP-ს ბაზაზე“ სასწავლო კურსში დაემატოს ვებ გვერდების უსაფრთხოების, სესიების, ვებ-სერვისების საკითხები;

17. განახლდეს ცალკეული სასწავლო კურსების (მაგალითად, „კალკულუსი“, „კომპიუტერული ქსელები“, „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“, „ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესები საქართველოში“ და „დემოკრატია და მოქალაქეობა“) ძირითადი ლიტერატურა;

18. გადაიხედოს სასწავლო კურსებზე კრედიტების მინიჭებისა და საკონტაქტო საათების განაწილების პრაქტიკა. „საწარმოო პრაქტიკა“ გახდეს 10 კრედიტიანი;

19. გადაიხედოს თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები, რომ ითვალისწინებდნენ კურსის სპეციფიკას და არ იყოს უნიფიცირებული;

20. სასწავლო კურსებში „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირებასა“ და „მონაცემთა ბაზების დაპროექტებაში (SQL)“ დაკონკრეტდეს რას გულისხმობს საკურსო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმი „სტუდენტის ავტონომიურობა“ და მეტად დეტალიზირდეს მისი შეფასების რუბრიკა;

21. სასწავლო კურსის „კატასტროფების რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით“ სილაბუსში განისაზღვროს ფინალური გამოცდის ღია კითხვების შეფასების რუბრიკა, ასევე სასწავლო კურსის „ლოგიკის“ სილაბუსში დეტალიზირდეს სემინარზე წერითი გამოკითხვის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკა;

22. პროგრამის განხორციელებაში ჩაერთოს დარგის პრაქტიკოსი უფრო მეტი სპეციალისტი, განსაკუთრებით დაპროგრამებასთან დაკავშირებულ საგნებში;

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სახეზეა ტექნიკური სახს შეცდომა, რაც გასოწრდება დაწესებულების მიერ.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მოცემულ არ ეთახმება, რადგანაც ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა გადის მხოლოდ „ცოდნა გაცნობიერების“ და „უნარის“ შედეგებზე. აქედან გამომდინარე, ვერ მოხერხდება 2.6 პუნქტის გადატანა „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის“ შედეგში.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, შედეგში „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ მოიაზრება „კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება. საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება. საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა. საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება“. ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოზე დაყრდნობით „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის“ ასახვა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში არაა სავალდებულო. ის ასახება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია მისი შეფასება. თუმცა დარგიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებში, კერძოდ „უნარის“ შედეგებში არის 2.7 შედეგი - „ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მიღებულ მუშაობის ეთიკურ ნორმებს და ინფორმაციული უსაფრთხოების წესებს“. ექსპერტების მიერ დასახელებული სასწავლო



კურსები („აკადემიური წერა“, „ინფორმაციული უსაფრთხოების ტექნოლოგიები“, „საბაკალავრო ნაშრომი“), კურსის შინაარსიდან გამომდინარე ავითარებენ „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის“ მხოლოდ ნაწილს, თუმცა „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის“ პროგრამის შედეგებში ასახვისთვის საჭიროა უფრო მეტი შეფასების კრიტერიუმები, ინსტრუმენტები და დადასტურება. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ მიზანშეწონილი არ არის პროგრამის მე-3 შედეგზე გასვლა. აღნიშნულ შედეგზე გასვლა შესაძლებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების სამაგისტრო სწავლების დონეზე. თუმცა საბჭოს გადაწყვეტილებისა და საჭიროების შესაბამისად მოხდება აუცილებელი ცვლილებების განხორციელება.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, დაწესებულება აღნიშნულს ნაწილობრივ დაეთანხმა, ვინაიდან პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს ისედაც ჰქონდა ამ საკითხზე მსჯელობა, თუმცა გადაწყვეტეს გაეგრძელებინათ წლების განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკა. როგორც ცნობილია, საბაკალავრო პროგრამებში გავრცელებული პრაქტიკა იყო სხვადასხვა საგნებში შესავალი კურსების შეთავაზება სწავლების პირველ სემესტრში, რაც გარკვეული თვალსაზრისით ეხმარებოდა სტუდენტებს სკოლის ბაზაზე მიღებული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცებაში და შემდგომ სემესტრებში შეთავაზებული 3 ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების ადვილად დამღევაში. შესავალი კურსი მათემატიკაში ბოლო პერიოდში ჩანაცვლდა პრეკალკულუსით. ასევე სამომავლოდ, პრეკალკულუსი და კალკულუსი ჩანაცვლდებოდა კალკულუსი 1 და კალკულუსი 2-ით, რომელიც შეთავაზებული იქნება სწავლების პირველ და მეორე სემესტრებში, რომელთა თემატიკაში გათვალისწინებული იქნება უმაღლესი მათემატიკის ის საკითხები, რომლებიც არსებითია ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალობის ბაკალავრებისათვის.

დაწესებულება ასევე ნაწილობრივ ეთანხმება მე-5 რეკომენდაციას, კერძოდ, პროგრამის მიხედვით ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი 120 კრედიტს შეადგენს. ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებთან. აქედან გამომდინარე, მათი სხვა სასწავლო კურსებით ჩანაცვლება ან მათთვის კრედიტების ხელოვნური შემცირება არასწორად მიიჩნევა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ „სისტემის ადმინისტრირების“ მთელი რიგი საკითხები შეტანილია ისეთ სასწავლო კურსებში, როგორებიცაა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები: „ოპერაციული სისტემები“, „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება“ და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსი - „ოპერაციული სისტემა Linux“. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ „სისტემის ადმინისტრირების“ საფუძვლიანი დაუფლებისთვის საჭიროა სერვერული ოპერაციული სისტემების დაუფლება, რაც ფაქტიურად შესაბამისი კონცენტრაციის შექმნას საჭიროებს, რომელიც პროგრამის მიხედვით არ არის გათვალისწინებული. ამას გარდა, საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურაც. რაც შეეხება სასწავლო კურსს „ადამიანი - კომპიუტერის ინტერაქცია“, მისი შესწავლა მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით Web ტექნოლოგიების მიმართულებით.

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი შეადგენს 15 კრედიტს. იგი წარმოდგენილია 7 სასწავლო კურსით, რომლებიდანაც სტუდენტს შეუძლია აირჩიოს 3 სასწავლო კურსი. ეს სასწავლო კურსები ხელს უწყობენ კონკრეტული მიმართულებების სრულფასოვან ათვისებას და მაქსიმალურად შეესაბამება ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ვეთანხმებით ექსპერტებს, რომ მნიშვნელოვანია არჩევითი სასწავლო კურსების მეტად გამრავალფეროვნება. კერძოდ, „დრუბლოვანი ტექნოლოგიები“ 4 ინფორმაციული ტექნოლოგიების უახლესი და პერსპექტიული სფეროა, რომელიც ფართოდ ინერგება და სწრაფი ტემპებით ვითარდება. „გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების (გის)“ შესწავლაკი პერსპექტიულია იმის გათვალისწინებით, რომ კახეთის რეგიონში მაქსიმალურად განვითარებულია აგრარული სექტორი. აქედან გამომდინარე, ექსპერტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან არჩევით სასწავლო კურსებს დავამატებთ ორ

სასწავლო კურსს - „ღრუბლოვანი ტექნოლოგიები“ და „გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები (გის)“. ხოლო რაც შეეხება სასწავლო კურსს „მობილური აპლიკაციები“, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ამ ეტაპზე მისი დამატებისგან თავს შეიკავებენ. აღსანიშნავია, რომ მოცემული სასწავლო კურსის რიგი საკითხები შეტანილია სასწავლო კურსში „ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამება C#“.თუმცა საბჭოს გადაწყვეტილებისა და საჭიროების შესაბამისად მოხდება აუცილებელი ცვლილებების განხორციელება.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, კერძოდ დამატებით (minor) პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსები წარმოდგენილია ოთხი მიმართულებით: კომპიუტერული ქსელები, მონაცემთა ბაზები, კომპიუტერული სისტემები და Web ტექნოლოგიები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კახეთის რეგიონის შრომის ბაზარი შედარებით მცირეა და დასაქმების სფეროს ანალიზმა გამოკვეთა შედარებით ფართო პროფილის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებზე მოთხოვნა. აქედან გამომდინარე, არასწორად მიიჩნის მხოლოდ ერთ მიმართულებაზე აქცენტის გაკეთება. დამატებით (minor) პროგრამის არჩევითი კომპონენტი 10 კრედიტს შეადგენს, რომლის ასათვისებლადაც ოთხი საგნიდან [კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება, მონაცემთა ბაზების დაპროექტება (SQL), კომპიუტერული სისტემების ექსპლუატაცია და სერვისი, Web დაპროგრამება (JavaScript)] ირჩევს ორს, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს სრულფასოვნად აითვისოს ოთხიდან ორი კონკრეტული მიმართულება.

რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, დაწესებულება აღნიშნულ ეთანხმება, რადგანაც აღნიშნული ხარვეზი არის ტექნიკური უზუსტობა, რაც სამწუხაროდ ვერ იქნა შემჩნეული დროულად, პროგრამის პაკეტის წარდგენამდე. როგორც ჩანს, სილაბუსის სასწავლო კურსის შინაარსის ცხრილში, სილაბუსის განახლების დროს, ადგილი ჰქონდა საკითხების არასწორად ჩასმას ცხრილის გრაფებში. პრაქტიკაში რეალურად, ცხადია ჯერ ისწავლება მატრიცები, შემდეგ კი დეტერმინანტები. ამას ისიც ადასტურებს, რომ ძირითადი ლიტერატურის მიხედვით. აღნიშნული უზუსტობა გასწორდა სილაბუსის სასწავლო კურსის შინაარსის ცხრილში.

მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსის დიიდ ნაწილი ეთმობა Windows-ს. შესაბამისად სათაური საჭიროებს მხოლოდ Windows-ის დამატებას, რაც უკვე გაკეთდა.

დაწესებულება ასევე ნაწილობრივ დაეთანხმა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-12 რეკომენდაციას, სასწავლო კურსში „კომპიუტერული გრაფიკა და მულტიმედია“ წარმოდგენილია გრაფიკის ძირითად მიმართულებები და გამოყენების სფეროები, კომპიუტერული გრაფიკის სახეობები, გრაფიკული მონაცემების წარმოდგენის მეთოდები, გრაფიკული მონაცემების ფორმატები, ფერები და ფერთა მოდელები. თუმცა ალბათ უმჯობესი იქნება თეორიული საკითხების უფრო სიღრმისეული შესწავლა. ამ მიზნით უკვე მოძიებულია შესაბამისი ლიტერატურა და მოხდება სილაბუსის განახლება. მათ ამასთან ერთად მნიშვნელოვნად მიიჩნის Adobe Photoshop-ის შესწავლაც, რაც აუცილებელია პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად გრაფიკული ობიექტების დამუშავების კუთხით, განსაკუთრებით Web-ის მიმართულებით. ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, როგორებიცაა 6 გამოსახულებაში ფერების და ტონების კორექცია, ფენებთან მუშაობა, დოკუმენტის ექსპორტი, იმპორტი და ბექდვა, ვექტორული და რასტრული გრაფიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები შეფასება, მოითხოვს Adobe Photoshop-ის საფუძვლიან ცოდნას.

დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-13 რეკომენდაციას, თუმცა პროგრამაში გათვალისწინებულია საგანი „კომპიუტერის ორგანიზაცია“, სადაც აღნიშნული საკითხები გარკვეულწილად განხილულია. მიუხედავად ამისა, აუცილებელი საკითხები დაემატება სასწავლო კურსს.

დაწესებულება ასევე დაეთანხმა სასწავლო კურსებში საკითხების დამატებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს და შესაბამისად მოახდენს აუცილებელი ცვლილებების განხორციელებას.

რაც შეეხება მე-17 რეკომენდაციას, დაწესებულება არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ კალკულუსში წარმოდგენილი ლიტერატურა შეუსაბამოა. თუ გავეცნობით წიგნებში გადმოცემულ საკითხებს, რომლებიც სილაბუსში მოყვანილი თემატიკის შესასწავლად არის შერჩეული, ისინი წმინდად მათემატიკური შინაარსის მატარებელია და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კალკულუსის სასწავლო კურსით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად. „კომპიუტერული ქსელებში“ და „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირებაში“, წარმოდგენილი ერთ-ერთი სახელმძღვანელო პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებისთვისაა გათვალისწინებული, თუმცა Cisco-ს აკადემიის მასალების მიხედვითაა დამუშავებული და კომპიუტერული ქსელების საკმაოდ საფუძვლიანი შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. მიუხედავად ამისა, ინსტიტუციის წარმომადგენელი რეკომენდაციას დაეთანხმა. მისი თქმით, ახალი ლიტერატურა უკვე მოძიებულია და იგი აისახება „კომპიუტერული ქსელების“ და „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირების“ სასწავლო კურსების განახლებულ სილაბუსებში. რაც შეეხება სასწავლო კურსის „ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესები საქართველოში“ ძირითად ლიტერატურას, ახალი ლიტერატურა უკვე დაემატა სასწავლო კურსს, როგორც ერთ-ერთი რესურსი. აღსანიშნავია ასევე, რომ სასწავლო კურსების ლიტერატურის განახლება მუდმივი პროცესია, ამჟამადც მიმდინარეობს და ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.

მე-18 რეკომენდაციას, კრედიტების მინიჭების კუთხით დაწესებულება არ ეთანხმება რადგან საგანამანათლებლო პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა 7 (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. კრედიტთა განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის დაეფუძნა საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. კრედიტების განაწილების სისწორე რეგულარულად მოწმდება სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ერთად სტუდენტებიც იღებენ მონაწილეობას. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტების რეკომენდაციას და მიაჩნია, რომ არ არის საჭირო კრედიტების რაოდენობის კორექტირება სასწავლო კურსების შინაარსისა და სპეციფიურობის გათვალისწინებით. რაც შეეხება საკონტაქტო საათების განაწილების პრაქტიკას - 1 საათი ლექცია და 2 საათი ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია, ეს გამოწვეულია იმით, რომ პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. თუმცა ექსპერტების რეკომენდაციის თანახმად ხელახლა გადაიხედება სასწავლო კურსები ამ კუთხით. რაც შეეხება რეკომენდაციის მე-2 ნაწილს, „საწარმოო პრაქტიკა“ გახდეს 10 კრედიტიანი, ეს რეკომენდაცია ალბათ დაკავშირებულია საწარმოო პრაქტიკით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების მომატების მიზანშეწონილობასთან. მიმდინარე სილაბუსის მიხედვით გათვალისწინებულია 54 საკონტაქტო საათი (მათ შორის უშუალოდ საწარმოო ობიექტზე 52 საათი) და დამოუკიდებელი მუშაობის 71 საათი. ინსტიტუციის წარმომადგენლის მოსაზრებით, კრედიტების რაოდენობის გაზრდის ნაცვლად, უფრო მიზანშეწონილი იქნება საკონტაქტო საათების რაოდენობის გაზრდა 80 საათამდე (მათ შორის უშუალოდ საწარმოო ობიექტზე 78 საათი), ხოლო დამოუკიდებელი მუშაობის საათების შემცირება 45 საათამდე. აქედან გამომდინარე, სტუდენტისთვის საწარმოო ობიექტზე გათვალისწინებული იქნება კვირაში არა 4, არამედ 6 საკონტაქტო საათი, რაც უფრო მეტად შეესაბამება სასწავლო კურსის სპეციფიკას.

აღსანიშნავია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-19 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ დაწესებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაეთანხმა მოცემულ რეკომენდაციას, რადგან სასწავლო კურსებში გამოიყენება შეფასების სხვადასხვა კომპონენტები და მეთოდები. მაგალითად, თუ კომპიუტერის არქიტექტურაში შუალედური შეფასების კომპონენტებია შუალედური გამოცდა, წერილი გამოკითხვა ღია კითხვებით, პრაქტიკული სამუშაო, საპრეზენტაციო თემის მომზადება

და წარდგენა, პროგრამირების საფუძვლებში სხვა კომპონენტებთან ერთად წარმოდგენილია საშინაო დავალების შესრულება, კომპიუტერული სისტემების ექსპლუატაციაში და სერვისში - ლაბორატორიული სამუშაოების ჩაბარება მონაცემთა ბაზების დაპროექტება (SQL)-ში ღია კომპიუტერული ტესტირება და საკურსო პროექტის შეფასება და. ა.შ. რეკომენდაცია უმეტესად ეხება საპრეზენტაციო თემის მომზადებას და წარდგენას, რომელიც სასწავლო კურსების უმეტესობაშია წარმოდგენილი. ეს თავისთავად არ არის ცუდი, რადგან ემსახურება სტუდენტის კვლევითი უნარ-ჩვევების, ავტონომიურობის და კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბებას, ეს გამოცდილება განპირობებულია რეგიონის სტუდენტთა უნარ-ჩვევების სპეციფიკით და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებით, რომლითაც გამოიკვეთა სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობისთვის კომუნიკაციის უნარის განსაკუთრებული მნიშვნელობა. თუმცა ხელახლა გადაიხედება სასწავლო კურსების სილაბუსებში სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის კომპონენტები და მეთოდები იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას. შესაბამისი სამუშაოს ჩატარების შემდეგ რიგ სასწავლო კურსებში მოხდება პრეზენტაციის კომპონენტის ჩანაცვლება სხვა კომპონენტით, რომელიც კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე უკეთ განსაზღვრავს სტუდენტის კომპეტენციების შეფასების ხერხებს.

მე-20 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, სილაბუსების მოდიფიკაციის დროს ასევე იქნება გათვალისწინებული აღნიშნული რეკომენდაცია. დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იქნება ასევე 21-ე და 22-ე რეკომენდაცია.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, აღნიშნა, რომ minor პროგრამა შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სხვა პროგრამის სტუდენტმა ამავე პროგრამის გარდა. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა დაძლევადი იქნება თუ არა მოცემული პროგრამა იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ მათემატიკის შესაბამისი ცოდნა.

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა თუ რომელი უცხო ენები ისწავლება პროგრამის ფარგლებში და რამდენად რელევანტურია თითოეული მათგანი პროგრამის სტუდენტებისთვის,

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ იგი საკმაოდ დეტალურად გაეცნო შრომის ბაზრის კვლევას, თუმცა საყურადღებოა რომ მასში ანალიზი საკმაოდ მცირე რაოდენობით არის მოცემული. რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხს, მასში ასახულია ხარჯების გათვლა, თუმცა არ ჩანს რა დროის შუალედისთვის. საბჭოს წევრისთვის ასევე გაუგებარია თუ რატომ არის 15 ოპტიმალური რაოდენობა. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტი სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი. აღნიშნული დოკუმენტი უფრო წარმოადგენს ხარჯების წინასწარ გათვლას.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა იმ შემთხვევაში თუ მხოლოდ ერთმა სტუდენტმა აირჩია კონკრეტული არჩევითი საგანი, მოხდება თუ არა მისი სწავლება.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა დაინტერესდა თუ რამ გამოიწვია minor პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციის განსაზღვრა. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა უნივერსიტეტის პრაქტიკა minor პროგრამასთან დაკავშირებით და დაინტერესდა თუ ძირითადად რომელი სტუდენტები ირჩევენ აღნიშნულს.

საბჭოს წევრმა ასევე გამოყო სწავლის შედეგების ნაწილი, კერძოდ მე-3 პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომელიც საერთოდ არ აქვს პროგრამას. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რატომ ჩათვალა დაწესებულებამ რომ ვერც ერთი საგანი ვერ გადიოდა მოცემულ შედეგზე.

საბჭოს წევრმა, ნინო იმნაძემ დააზუსტა თუ როგორ ხდება საბაკალავრო ნაშრომის წარმოდგენა, როგორც იყენებენ სტუდენტები პრეზენტაციის დროს ფოტოშოპს.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაღანიძემ აღნიშნა, რომ ფოტოშოპი არის მულტიმედიის ერთი მცირე ნაწილი. თუკი სასწავლო კურსს აქვს ასეთი კრებითი სახელი, შინაარსი რატომ მოიცავს მხოლოდ ერთ პროგრამას.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ იგი დეტალურად გაეცნო მემორანდუმებს, თუმცა ისინი კონკრეტულად მოცემულ პროგრამისთვის არ არის მომზადებული. ძირითადად წარმოდგენლია უნივერსიტეტსა და სხვა დარგის სტუდენტებისთვის ხელმოწერილი მემორანდუმები. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულებას საკითხის განმატებისკენ.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია საერთაშორისო პრაქტიკა და სტანდარტები რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. პროგრამის ფარგლებში იფარება სამივე შედეგი, ცოდნა, უნარი და პასუხისმგებლობა. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა გეგმავს თუ არა დაწესებულება მოცემული უნარების გამიჯვნას. საბჭოს წევრმა ასევე მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს კურსდამთავრებულების დასაქმების საკითხის მიმოხილვისკენ.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ minor პროგრამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ რეგიონიდან და ფინანსური მდგომარებიდან გამომდინარე, პროგრამას მცირე კონტიგენტი ჰყავს. შესაბამისად, ვისაც სურს ინფორმაციული ტექნოლოგიების შესწავლა, თუმცა ამისთვის არ აქვს საკმარისი თანხები, აბარებს უფასო პროგრამაზე და შემდგომ ირჩევს minor პროგრამის სახით ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. minor საგანმანათლებლო პროგრამას „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, რომელსაც გააჩნია ცალკე გამოყოფილი სწავლის შედეგები. დამატებითი პროგრამის სწავლის შედეგები რელევანტური და მეტწილად მიღწევადია დამატებითი სასწავლო გეგმით. მიუხედავად ამისა, სასურველია არჩევითი საგნების დამატება, რომ სტუდენტმა შეძლოს რომელიმე კონკრეტული მიმართულების სრულფასოვნად ათვისება. მაგალითად, ვებ ტექნოლოგიების მიმართულებით სერვერული მხარის დაპროგრამება საერთოდ არ ისწავლება. რაც შეეხება პროგრამის დაძლევის შესაძლებლობას ჰუმანიტარული ფაკულტეტის წარმომადგენლებისთვის, ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბაზისო დონეზე პროგრამა დაძლევალია.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გამოიკითხა სხვადასხვა ორგანიზაციები, რის შედეგადაც მოხდა ადგილობრივი ბაზრის გაანალიზება. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ თვითშეფასების მე-12 პუნქტში წარმოდგენილია შრომის ბაზრის სრულყოფილი კვლევა, სადაც მოცემულია როგორც სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, ასევე დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები. შესაბამისად, დაწესებულებამ ნამდვილად ჩაატარა შრომის ბაზრის სრულყოფილი კვლევა.

რაც შეეხება მემორანდუმების საკითხს, აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები რიგ ორგანიზაციებთან. საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში ხორციელდება პრაქტიკის ანგარიშის მომზადება და დაცვა. ყოველივე აღნიშნული სტუდენტს უმუშავებს და უვითარებს პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევებს. დაწესებულებას მემორანდუმი გაფორმებული აქვს შემდეგ ორგანიზაციებთან: IT აკადემია STEP, GITA, ტექნო პარკი, ერუფიტი, პოლიგლოტი, პროფესიული სასწავლებელი პრესტიჟი. დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმი მერიასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ბიუჯეტთან დაკავშირებით სახეზე არ არის ტექნიკური შეცდომა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აქვს აკადემიურ საბჭოზე შემუშავებული კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა. საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ საგნებზე ჯგუფში გათვალისწინებულია 15 სტუდენტი. შესაბამისად, ბიუჯეტიც გათვლილია ერთი ჯგუფის

ოპტიმალურ რაოდენობაზე. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტში მოცემულია 4 წელიწადში, 15 ოპტიმალურ სტუდენტზე გათვლილი მაქსიმალური შემოსავალი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი უნდა დაიწეროს ხარჯებიდან გამომდინარე. თავდაპირველად უნდა განისაზღვროს ხარჯები.

რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს, ინსტიტუციის წარმომადგენლის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ნაშრომი გადის პლაგიატზე შემოწმებას. პრეზენტაციისა და ნაშრომის გაფორმებისთვის სტუდენტები იყენებენ გრაფიკას. პროგრამის შედეგები არ გადის მულტიმედიის სპეციალისტზე, შესაბამისად პროგრამის ფარგლებში გამოიყენება მხოლოდ მისი ნაწილი. საბაკალავროზე მუშაობის დროს სტუდენტები წარმოადგენენ სპეციალობის მიმართულებით ნაშრომებს. საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროდან გარკვეული აპარატურული/ პროგრამული პროდუქტის შემუშავებას. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. ნაშრომი მოიცავს რეფერირებად ტექსტს, რეფერატსა და პრეზენტაციას სადაც გამოყენებული უნდა იყოს ვიზუალური გრაფიკა. ნაშრომის შეფასების დროს ფასდება გაფორმებაც.

იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია მცირე ჯგუფები, ერთი სტუდენტის დაინტერესების შემთხვევაშიც იხსნება არჩევითი საგნები.

რაც შეეხება უცხო ენებს, პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია 4 უცხო ენა, თუმცა პროგრამა არ მოიცავს დარგობრივ უცხო ენას. უცხო ენის სწავლების დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა ჰქონდეს b2 დონის შესაბამისი ცოდნა. 4 სხვადასხვა ენის შეთავაზება გამომდინარეობს სწორედ სტუდენტების მოთხოვნიდან. უწყისების მიხედვით, მხოლოდ 2 სტუდენტს აქვს არჩეული რუსული ენა, ერთს გერმანული ენა, ხოლო დანარჩენი სტუდენტები სწავლობენ ინგლისურ ენას.

მნიშვნელოვანია ასევე დასაქმების საკითხიც. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით ხარვეზი არ არის სახეზე. დაწესებულებამ თავად გაწერა ის შედეგები, რომელიც გავა ჩარჩოხ მიხედვით განსაზღვრულ მე-3 კომპეტენციაზე. საკითხი არის საკმაოდ კომპლექსური, შესაბამისად, საბაკალავრო საფუხურზე, ზედმიწევნით შედეგის გაწერა არ არის სავალდებულო. დაწესებულებამ კონსულტაცია გაიარა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი არის თავად უნივერსიტეტის გადასაწყვეტი.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 19:48**

**დასრულების დრო: 20:38**

### **აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, დააჯგუფა და ფორმულირენა შეუცვალა ექსპერტთა მიერ გაცემულ რიგ რეკომენდაციებს, ამოიღო 2 რეკომენდაცია, 5.3 ქვეკომპონენტში კი დაამატა რეკომენდაცია, შედეგად 5.3 ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულმა არ გამოიწვია მე-5 სტანდარტის შეფასების ცვლილება. საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

### **რეკომენდაციები:**

- მიზნების პირველ პუნქტში „კომპიუტერული მეცნიერების ფუნდამენტური თეორიების და პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა“ შეიცვალოს ტექსტით „ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნდამენტური თეორიების და პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა“;

- უნარების 2.6 და 2.7 პუნქტი ფორმულირება გაიწეროს იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობას“ და აისახოს შესაბამის სასწავლო კურსების სილაბუსებში;
- „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ - დაემატოს აკადემიური და პროფესიული პასუხისმგებლობის აღმწერი პუნქტი;
- სასწავლო კურსი „პრეკალკულუსი“ ამოღებულ იქნას პროგრამიდან;
- დაემატოს ძირითადი სასწავლო კურსები: „სისტემის ადმინისტრირება“ და „ადამიანი-კომპიუტერის ინტერაქცია“;
- გამრავალფეროვნდეს არჩევითი სასწავლო კურსები, მათ შორის დაემატოს: „მობილური აპლიკაციები“, „ღრუბლოვანი ტექნოლოგიები“, „გეოგრაფიული საინფორმაციო (გის) სისტემები“;
- გაერთიანდეს სასწავლო კურსები „დაპროგრამების საფუძვლები“ და „დაპროგრამება (C++)“;
- „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება და აპლიკაციები (C#)“ სასწავლო კურსში დაემატოს C# გრაფიკული დაპროგრამებისა და .NET ფრეიმვორკის გაცნობის საკითხები;
- „ოპერაციული სისტემები“, „კომპიუტერული გრაფიკა და მულტიმედია“ კურსის შინაარსი და სათაური მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში;
- „კომპიუტერული ქსელები“ სასწავლო კურსში დაემატოს თემები უკაბელო გადაცემის ტექნოლოგიების შესახებ;
- „Web ტექნოლოგიების საფუძვლები (HTML&CSS)“ სასწავლო კურსში დაემატოს რესპონსული გვერდების აწყობის, მოდულარული CSS და CSS3-თან დაკავშირებული საკითხები;
- „Web დაპროგრამება (JavaScript)“ სასწავლო კურსში გაღრმავდეს JQuery საკითხები და დაემატოს AJAX ტექნოლოგიის მიმოხილვა;
- „Web დაპროგრამება PHP-ს ბაზაზე“ სასწავლო კურსში დაემატოს ვებ გვერდების უსაფრთხოების, სესიების, ვებ-სერვისების საკითხები;
- განახლდეს ცალკეული სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა;
- გადაიხედოს თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები, რომ ითვალისწინებდნენ კურსის სპეციფიკას და არ იყოს უნიფიცირებული;
- სასწავლო კურსებში „კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირებასა“ და „მონაცემთა ბაზების დაპროექტებაში (SQL)“ დაკონკრეტდეს რას გულისხმობს საკურსო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმი „სტუდენტის ავტონომიურობა“ და მეტად დეტალიზირდეს მისი შეფასების რუბრიკა;
- სასწავლო კურსის „კატასტროფების რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით“ სილაბუსში განისაზღვროს ფინალური გამოცდის ღია კითხვების შეფასების რუბრიკა, ასევე სასწავლო კურსის „ლოგიკის“ სილაბუსში დეტალიზირდეს სემინარზე წერიითი გამოკითხვის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკა;
- გაძლიერდეს პროგრამის განხორციელებაში სპეციალიტების მოზიდვა (მათ შორის პრაქტიკოსიც);
- რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პერიოდულად განახორციელოს პროგრამის სწავლის შედეგების (ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) მიღწევის მონიტორინგი.

## რჩევები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობაში იყოს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს პრაქტიკის კომპონენტი;

- „შესავალი კურსი პოლიტოლოგიაში“ სასწავლო კურსის თემატიკამ სასურველია მოიცვას პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ საკითხები;
- თანამშრომლობა რეგიონალურ ორგანიზაციებთან სტუდენტთა სტაჟირების თაობაზე;
- სტუდენტური სერვისების ერთ სივრცეში თავმოყრის მიზნით, სასურველია უსდ-მ შექმნას სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რომელსაც მთლიანად სტუდენტების მომსახურებაზე იქნება ორიენტირებული, რაც კიდევ უფრო გაუადვილებს სტუდენტებს სწავლის პროცესს;
- გაძლიერდეს საერთაშორისო თანამშრომლობა უშუალოდ ინფორმატიკის მიმართულებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი გაიწეროს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის მდგრადობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენას სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

**4. მეოთხე საკითხი:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.12.2011 გადაწყვეტილება N 452
5		



	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, გეოლოგია, გეოფიზიკა)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლის N3, 0162 თბილისი, საქართველო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის H, G, T და E კორპუსები
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - ელენე ჟურავლოვამ

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა დასკვნაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ დასკვნის 3.1 ქვეკომპონენტში მოცემულია რეკომენდაცია, თუმცა 3.1 ქვეკომპონენტი და მთლიანად სტანდარტი შეფასებული იყო როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**

## ექსპერტების პოზიციის განხილვა

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად. ვიზიტი უნივერსიტეტში დაიწყო 11:00 სთ-ზე (12.03.2021). შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტი გაგრძელდა 2021 წლის 15 მარტს. შეხვედრა ჩატარდა ონ-ლაინ რეჟიმში და დაიწყო 10:00 სთ-ზე. დღის წესრიგის მიხედვით ჩატარდა ინტერვიუები სხვადასხვა ჯგუფებთან. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სადაც არის დაგეგმილი პროგრამის განხორციელება, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა. გადამოწმდა პროგრამით გათვალისწინებული საჭირო რესურსების არსებობა. შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნეს აკრედიტაციის ვიზიტის ძირითადი მიგნებები. ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ ატმოსფეროში, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა იყო თანამშრომლობითი და კონსტრუქციული.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, გეოლოგია, გეოფიზიკა) (ძირითადი სპეციალობები)“, რომელმაც აკრედიტაცია მოიპოვა 2011 წელს, მოიცავდა სამ მიმართულებას და ითვალისწინებდა ერთ-ერთი მიმართულებით შესაბამისი საბაკალავრო ხარისხის მინიჭებას. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის პროცესში სასწავლო პროგრამა მოდიფიცირდა და ჩამოყალიბდა, როგორც „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), რომელიც ითვალისწინებს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას. პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრირებით. რეაკრედიტაციის მიზნებისთვის წარდგენილ საბაკალავრო პროგრამაში „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ განახლდა პროგრამის მიზნები, სტრუქტურა, დაზუსტდა სასწავლო კურსების წინაპირობები და სწავლის შედეგები თანამედროვე ტენდენციების და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, განახლდა პროგრამის სტრუქტურა და შემუშავდა პროგრამის რუკა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ტექნიკური რეკომენდაციები დაწესებულების მიერ შესრულებულია და შესაბამისად განხორციელდა აუცილებელი ცვლილებები.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველი სტანდარტი** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორე სტანდარტი** სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამე სტანდარტი** სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხე სტანდარტი** სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

**მეხუთე სტანდარტი** სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

## **ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაეფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. სასწავლო კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“ დაემატოს დაშვების წინაპირობები, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან;
2. შეიცვალოს სემესტრულ სარეკომენდაციო გეგმის VII და VIII სემესტრის ჩანაწერი: კურსი/კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტიანი. დაზუსტდეს შემდეგი რედაქციით: კურსი/ კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტი;
3. სასწავლო კურსებში „ლიტერატურული მეხსიერება“, „ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“, „გერმანულენოვანი ლიტერატურა“, „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“ სწავლის შედეგები გაიწეროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად;
4. სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;
5. სასწავლო კურსში „სტრატეგიაფიისა და გეოქრონოლოგიის საფუძვლები“ საველე სამუშაო შეიცვალოს პრაქტიკულით და გაიწეროს მისი თემატიკა;
6. იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც ინტეგრირებულია პრაქტიკები, გაიზარდოს პრაქტიკის საათების რაოდენობა.
7. სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები უფრო დეტალიზებული და გამჭვირვალე გახდეს.
8. საჭიროა გაიზარდოს პროგრამის აქტივობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და მისი სტუდენტებისათვის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა შეიქმნას.

## **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეაკრედიტაციის მიზნებისთვის წარდგენილ საბაკალავრო პროგრამაში “დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)” განახლდა პროგრამის მიზნები, სტრუქტურა, დაზუსტდა სასწავლო კურსების წინაპირობები და სწავლის შედეგები თანამედროვე ტენდენციების და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, განახლდა პროგრამის სტრუქტურა და შემუშავდა პროგრამის რუკა, რომელიც მკაფიოს ხდის პროგრამის საერთო დიზაინს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. პროგრამის ზემოთაღნიშნული რუკის საფუძველზე გადაიხედა და განახლდა პროგრამაში შემავალი კურსების მიზნები და სწავლის შედეგები პროგრამის სწავლის შედეგებთან მათი უფრო მეტი სინქრონიზაციის მიზნით; სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გადაიხედა სასწავლო კურსებში გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა; დარგში არსებული თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით განახლდა სასწავლო კომპონენტებში გამოყენებული რესურსები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა და კურსდამთვრებულთა გამოკითხვების საფუძველზე გაიზარდა პრაქტიკული მეცადინეობების წილი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაუმჯობესდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. კერძოდ, დაფუძნდა და აღიჭურვა „გარემოს კვლევების კომპლექსური ლაბორატორია“, ასევე, ტექნოლოგიების კორპუსში გაიხსნა თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ორი ახალი ლაბორატორია საინჟინრო გეოლოგიის და ჰიდროგეოლოგიის მიმართულებით სწავლებისთვის; განახლდა დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა; გაიზარდა ხელმისაწვდომი ელექტრონული სამეცნიერო ბაზებისა და წიგნად ფონდში შემავალი ლიტერატურის რაოდენობა; დაინერგა სწავლებისა და შეფასების ელექტრონული ინსტრუმენტები Elearning და Turnitin, განახლდა და

გაიზარდა კომპიუტერული ლაბორატორიების რიცხვი, გაუმჯობესდა და კიდევ უფრო მრავალფუნქციური გახდა არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: „არგუსი“. პროგრამას ასევე დაემატა შესავალი კურსები, რაც დასავლურ მიდგომას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია დაწესებულების მოსაზრება მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ პროგრამის სასწავლო კურსებში განსაზღვრული სწავლის შედეგები არის გაზომვადი, რაც დასტურდება ამავე კურსების სწავლის შედეგების შეფასების სისტემაში არსებული შეფასების კომპონენტებითა და კრიტერიუმებით. აქვე აღვნიშნავთ, რომ სწავლის შედეგების განსაზღვრისას სტანდარტი სავალდებულოდ არ ითვალისწინებს ზმნების ტიპების და გრამატიკული დროების სტანდარტიზაციას. გარდა ამისა, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკები და ანალოგები არ ითვალისწინებს სწავლის შედეგების ფორმულირებას ზმნების კონკრეტული ტიპების და მათი მხოლოდ აწმყო დროში გამოყენებით. შესაბამისად, დაწესებულება არ ეთანხმება აღნიშნულ რეკომენდაციას და მიაჩნია, რომ ის შეიძლება ატარებდეს რჩევის ხასიათს.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, კურსი აგებულია ლექცია - სემინარებისა და პრაქტიკული-სავლე სამუშაოს ფორმატში. ტერმინოლოგიური გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დაწესებულებამ განმარტა, რომ სავლე-პრაქტიკული სამუშაოს მიზანია, სტუდენტები გაეცნონ რეალურ გეოლოგიურ ჭრილებს (თბილისის ფარგლებში), ამგებ შრეებს და მათ გეოლოგიურ თავისებურებებს, დააკავშირონ ლექციებზე მიღებული თეორიული ცოდნა/ინფორმაცია პრაქტიკულთან: გააკეთონ სავლე ჩანახაზები, აღწერონ ჭრილი, მოახდინონ მისი კორელაცია და გააკეთონ სავლე ჩანაწერები, მიიღონ პირველადი ცოდნა რეალურ გარემოში ამ ტიპის სავლე სამუშაოების წარმოების შესახებ. ლექცია-სემინარების ფორმატი, თავის მხრივ მოიცავს სტუდენტების მხრიდან არამართო თეორიული ცოდნის მიღებას, არამედ ველზე მიღებული ინფორმაციის შემდგომ დამუშავებას (სემინარის ფორმატში), თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და შემდგომ გაღრმავებას. აღსანიშნავია, რომ გეოლოგიური ჭრილის აგებას ასევე ითვალისწინებს ფინალური გამოცდა, რა დროსაც შემოწმდება სტუდენტის ცოდნა ამ კომპონენტში. აღნიშნული კურსის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკული სავლე სამუშაო წარმოადგენს პრაქტიკულ საქმიანობას, და მისთვის გათვალისწინებულია 8 საათი, რაც ამ ეტაპზე საკმარისად იქნა მიჩნეული. თუ შემდგომი გამოცდილება დაგვანახებს ამ კომპონენტზე მეტი დროის გამოყოფის საჭიროებას, ასეთი ცვლილება შეტანილი იქნება კურსის სილაბუსში. შესაბამისად, დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტის რეკომენდაციას და მიაჩნია, რომ ის შეიძლება ატარებდეს მხოლოდ რჩევით ხასიათს.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დეტალურად გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. მნიშვნელოვანია, რომ შრომის ბაზრის კვლევაში მოცემულია მხოლოდ 5 დამსაქმებელი და მათთან ერთ საათიანი შეხვედრა. შესაბამისად დაინტერესდა რამდენად საკმარისია 5 დამსაქმებელთან ერთ საათიანი შეხვედრის განხორციელება შრომის ბაზრის კვლევისთვის.

რაც შეეხება ბიუჯეტს, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან შეუძლებელია რაციონალური დასკვნის გამოტანა მდგრადია თუ არა პროგრამა ფინანსურად.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების უმრავლესობის სახელწოდებაში მოცემულია „საფუძვლები“. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად ღრმად ისწავლება ესა თუ ის სასწავლო კურსი.

საბჭოს წევრა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამამ განიცადა ცვლილება, შესაბამისად დაინტერესდა თუ რა მდგომარობაში იქნებიან რეაქრედიტაციის შემდგომ ის სტუდენტები, რომლებიც ძველ პროგრამაზე სწავლობენ.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ თვითშეფასებიდან გამომდინარე, დაინტერესება საბაკალავრო პროგრამის მიმართ საკმაოდ დიდია. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ სად გადიან სტუდენტების პრაქტიკას და რომელ პოტენციურ დამსაქმებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობს დაწესებულება.

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა თუ როგორ ხდება კურიკულუმის შესწავლა და იყენებს თუ არა დაწესებულება გარე შეფასების მექანიზმებს.

საბჭოს წევრმა ასევე მოუწოდა ექსპერტებს სწავლის შედეგებთან არსებული რეკომენდაციის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დააზუსტა თუ რამდენად რეკომენდაციის ხასიათი აქვს ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას. ასევე დაინტერესდა თუ რამ გამოიწვია მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ გაზრდილიყო ამ კუთხით აქტივობა.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ ასევე აღნიშნა ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევა უსაფრთხოების წესების გაწერასთან დაკავშირებით და დააზუსტა თავისის შინაარსით რამდენად წარმოადგენს აღნიშნული რჩევას და არა რეკომენდაციას. გარდა ამისა საბჭოს წევრმა ისაუბრა მე-2 რჩევასტათ დაკავშირებით და დაინტერესდა თუ რატომ საჭიროებს თემატიკა გასწორებას და არის თუ არა აღნიშნული სასწავლო კურსის შესაბამისი.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გეოლოგიის ორივე ნაწილი ისწავლება პირველ კურსზე და აღნიშნული წარმოადგენს სავალდებულო სასწავლო კურსს. მოცემული საგანი წარმოადგენს სხვა სასწავლო კურსებისთვის წინაპირობას. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სტრატეგრაფიული კვლევებიდან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდს - ბიოსტრატეგრაფიულ მეთოდს. აღნიშნულ მეთოდში სტუდენტს გარკვევა გაუჭირდება თუ არ აქვს ცოდნა ისტორიული გეოლოგიიდან და პალეონტოლოგიიდან. სტრატეგრაფიისა და გეოქრონოლოგიის სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობაა „დედამიწა - შესავალი გეოლოგიაში II“ სადაც აღნიშნულ საკითხებს ეთმობა გარკვეული დრო, მაგრამ ეს აშკარად არასაკმარისია, ამიტომ სასწავლო კურსში „დედამიწა - შესავალი გეოლოგიაში II“ დაემატოს საკითხები ისტორიული გეოლოგიის და განსაკუთრებით პალეონტოლოგიის მიმართულებით, მითუმეტეს ეს საკითხები კარგადაა განხილული დამატებით ლიტერატურაში მითითებულ სახელმძღვანელოში. აღნიშნული არ წარმოადგენს რეკომენდაციას, რადგან ლიტერატურა უკვე მითითებულია. სილაბუსი არ საჭიროებს სიღმისეულ ცვლილებებს.

რაც შეეხება შედეგების შეფასების საკითხს, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მაგრამ მათი ნაწილი არ იძლევა დაკვირვების, გაზომვის შესაძლებლობას, აღწერილია სხვადასხვა დროში. საჭიროა გასწორდეს ჩამოთვლილი შეუსაბამობები. ზოგიერთი სასწავლო კურსის („ლიტერატურული მეხსიერება“, „ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“, „გერმანულენოვანი ლიტერატურა“, „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“) სწავლის შედეგები გასაწერია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.

მნიშვნელოვანია ასევე უსაფრთხოების წესების არარსებობის საკითხი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების დებულება, რაც საკამოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტია. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა საკითხის რჩევის სახით განსაზღვრა. პროგრამის და ზოგიერთი სასწავლო კურსის მაგალითად: ჰიდროგეოლოგიისა და საიჟინრო გეოლოგიის საფუძვლები; სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიის საფუძვლები და ა. შ. შედეგების გაწერისას დიდი ყურადღება ეთმობა უსაფრთხოების წესების დაცვას, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოცემულ სასწავლო კურსებში უსაფრთხოების წესების გაწერა.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა არ არის თვისობრივად განსხვავებული პროგრამა, არამედ მოხდა მისი გადაკეთება და მორგება საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებზე. განახლებული პროგრამის შემთხვევაში განხორციელდა არსებული კომპონენტების სინქრონიზაცია. სტუდენტებს, რომლებიც ამჟამად სწავლობენ ძველ პროგრამაზე, გადაიყვანენ მოცემულ პროგრამაზე და მათთვის გაკეთდება თავსებადობის დასკვნა. პროგრამის შემუსავებისას მხედველობაში იქნა მიღებული ის სპეციფიკა რაც პროგრამას ჰქონდა 2011 წლიდან, ამიტომ თავსებადობის შესაძლებლობას ახალი პროგრამა სასვებით იძლევა.

რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე პროგრამის უკეთ მორგების მიზნით ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები პოტენციურ დამსაქმებლებთან. პროგრამის კურსდამთავრებულებთან ასევე ჩატარდა გამოკითხვა. დარგში არსებული საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინების მიზნით გამოყენებული იყო საერთაშორისო დარგობრივი აღმწერი და საერთაშორისო უნივერსიტეტებში არსებული პრაქტიკა. როგორც დამსაქმებლებისგან, ასევე კურსდამთავრებულებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე და დარგში სწავლების საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით პროგრამის მიზნებში პრიორიტეტულად ჩაითვალია ისეთი კომპეტენციების ხაზგასმა, როგორც არის დარგში არსებული თანამედროვე ცოდნის დაუფლება, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების მულტიდისციპლინურობა და ინტერდისციპლინურობა, პრობლემების იდენტიფიცირების და ეფექტურად გადაჭრის უნარები, საბაზო კვლევითი/ლაბორატორიული/საველე უნარები. შესაბამისად ერთ საათიანი შეხვედრები სავსებით საკმარისია დამსაქმებლის მოთხოვნებისა და ინტერესების გასაგებად. მნიშვნელოვანია ასევე დასაქმების ბაზრის საკითხი, კერძოდ დამსაქმებლებთან შეხვედრის დროს წარმოდგენილი იყო ყველა სექტორი, კერძოს სახელმწიფო სექტორი, კერძო სექტორი, კვლევითი და აკადემიური სექტორი. გარდა ამისა დაწესებულებას აქვს მუდმივი კომუნიკაცია დამსაქმებლებთან ერთობლივი პროექტებისა და ღონისძიებების ფარგლებში. პროგრამის შემშავებისას გათვალისწინებული იყო ასევე საერთაშორისო გამოცდილება. შესწავლილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების დასაქმების ბიუროს სტატისტიკა და მოთხოვნები, რაც გამოყენებული იქნა პროგრამის ფარგლებში. პროგრამის კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს ყველგან, სადაც საჭიროა დედამიწის შემსწავლელი მეცნიერის არსებობა.

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის მთავარი ამოცანაა იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, რაც აუცილებელია დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სხვადასხვა დისციპლინაში თეორიული ცოდნის გამოყენებისთვის პრაქტიკაში. შესაბამისად, კურსების ნაწილი, განსაკუთრებით სწავლების დამამთავრებელ სემესტრებში, ითვალისწინებს კვლევითი ხასიათის პროექტების შესრულებას, სამეცნიერო ლიტერატურასთან დამოუკიდებელ მუშაობას და პროექტის ანგარიშის წარდგენას ზეპირად ან/და წერილობით. პრაქტიკის ძირითადი ადგილი არის ბოლნისის რაიონი, სადაც საინტერესო გეოლოგიაა, მათ შორის პრაქტიკული თვალსაზრისით. ილიას უნივერსიტეტს აქვს ასევე ბაზები: სტეფანწმინდის ბაზა, ბაზა შავი ზღვის სანაპიროზე და აქედან გამომდინარე, პრაქტიკები შესაძლებელია ჩატარდეს თემატიკის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი აგრძელებს აკადემიურ კარიერას უნივერსიტეტის ფარგლებში.

ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციაში მითითებული გასაუმჯობესებელი მხარე გამოვლინდა ინსტიტუციის მიერ თვითშეფასების პროცესში, რაც ასახულია შესაბამის დოკუმენტში. ამასთან დაკავშირებით დაიგეგმა და განხორციელდა რიგი ღონისძიებებისა. კერძოდ, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, 2021 წელს უნივერსიტეტმა გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ბრიჯვოთერის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ამერიკის შეერთებული შტატები), რაც ითვალისწინებს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების როგორც საბაკალავრო,

ასევე სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში სტუდენტების სემესტრულ გაცვლას უნივერსიტეტებს შორის. ამასთან ერთად, უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობების სამსახური მუდმივად უწევს კოორდინირებას სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას Erasmus + გაცვლითი პროგრამების ფარგლებში. საერთაშორისო მობილობის ფარგლებში უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმები, განახორციელა და ახორციელებს სტუდენტების გაცვლებს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების, გარემოს მეცნიერებების და ეკოლოგიის მიმართულებით 15 საერთაშორისო უნივერსიტეტთან, მათ შორის ტურკუს (ფინეთი), მასარიკის (ჩეხეთი), გიოტინეგინის (გერმანი), გრონინგენის (ნიდერლანდები), უფსალას (შვედეთი), ლიმერიკის (ირლანდია) უნივერსიტეტებთან. გარდა ამისა, ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერის მიზნით გამოიყენება საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტები/აქტივობები, რომელთა ფარგლებშიც დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ, უშუალოდ ითანამშრომლონ საერთაშორისო სტუდენტებთან და პროფესორებთან საქართველოში მიმდინარე კვლევების ფარგლებში. ასეთ პროექტებს განეკუთვნება საქართველოს კლდეში ნაკვეთი ძეგლების კომპლექსური კვლევა მონიტორინგი, შირაქის საერთაშორისო მულტიდისციპლინური კვლევები და სხვ.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ რიგ სასწავლო კურსებში შეფასების კრიტერიუმები არაა დეტალურად ჩაშლილი და ზოგიერთ შემთხვევაში არაა გაწერილი 8, 10 და 15 ქულიანი კრიტერიუმები. სწორედ აღნიშნულმა გამოოწვია საკითხთან დაკავშირებული რეკომენდაციის განსაზღვრა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა ბიუჯეტთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მოცემული ბიუჯეტი არის სრული ბიუჯეტის ნაწილი და გულისხმობს ერთი წლის ბიუჯეტს 25 სტუდენტისთვის. პროგრამის უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, პროგრამის საჭიროებების შესაბამისი ფორმით და ეკონომიკურად მიღწევადია. პროგრამა ფინანსურად სტაბილურია და მისი ბიუჯეტი ფარავს საოპერაციო ხარჯებს პროგრამის განვითარებისათვის, საჭირო რესურსების დაფინანსების ხარჯებს, პერსონალის ხარჯებს და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა რელევანტურ ხარჯებს. პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით მის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს პროგრამის ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს პირველ რიგში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაახლებას, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებას, ინტელექტუალური რესურსების მოზიდვას, აკადემიური პერსონალის განვითარებას. პროგრამაში გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის და ლაბორატორიული სამუშაოების უზრუნველყოფა ხდება სასწავლო ლაბორატორიებით, აგრეთვე, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით. კვლევით ინსტიტუტებს და ცენტრებს აქვთ ბიუჯეტი, რომლის ფარგლებში ხდება საჭირო ხარჯების გაწევა. სწავლების ასისტირებაში ჩართულია სადოქტორო პროგრამების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სტუდენტები.

რაც შეეხება გარე შეფასების საკითხს, უნივერსიტეტი იყენებს გარე შეფასების მექანიზმებს, რომელიც ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას“, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“ და „აკრედიტაციის სახელმძღვანელოს“. საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების მიზნით პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და დიზაინის შემუშავებისა და დახვეწის პროცესში, გათვალისწინებული აქვთ QAA Subject Benchmark Statements: Earth Sciences, Environmental Sciences and Environmental Studies (2019) საერთაშორისო სამიზნე ნიშნულები, ასევე პროგრამის კურსდამთავრებულთა კითხვარები. გარე შეფასების ფარგლებში მოხდა პროგრამის გარე განხილვა, რომელშიც მონაწილეობდნენ დამსაქმებლები. მათი რეკომენდაციით პროგრამას დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსი „სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიის საფუძვლები“, ასევე გარკვეულ სასწავლო კურსებში მოხდა

თემატიკების გადახედვა. დამსაქმებლების მიერ დადებითად შეფასდა პრაქტიკის კომპონენტის არსებობა პროგრამაში. საბაკალავრო პროგრამის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ თვითშეფასების ჯგუფმა ძირითადად გაითვალისწინა 2011 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და საგანმანათლებლო პროგრამაში შეიტანა შესაბამისი ცვლილებები. აღსანიშნავია ასევე, რომ სტუდენტები დამამთავრებელ სემესტრში ასრულებენ საბაკალავრო ნაშრომს. პროგრამის მიხედვით ასევე გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 21:45**

**დასრულების დრო: 22:40**

### **აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, რიგი რჩევები გადაიტანეს რეკომენდაციებში და რიგ რეკომენდაციებს შეუცვალეს ფორმულირება, ასევე რეკომენდაცია დაემატა 4.4 ქვეკომპონენტში, შედეგად 4.4 ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულმა არ გამოიწვია მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება. საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

### **რეკომენდაციები:**

- სასწავლო კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“ დაემატოს დაშვების წინაპირობები, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან;
- შეიცვალოს სემესტრულ სარეკომენდაციო გეგმის VII და VIII სემესტრის ჩანაწერი: კურსი/კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტიანი. დაზუსტდეს შემდეგი რედაქციით: კურსი/კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტი;
- სასწავლო კურსებში „ლიტერატურული მეხსიერება“, „ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“, „გერმანულენოვანი ლიტერატურა“, „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“ სწავლის შედეგები გაიწეროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად;
- სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;
- სასწავლო კურსში „სტრატეგრაფიისა და გეოქრონოლოგიის საფუძვლები“ სავლელ სამუშაო შეიცვალოს პრაქტიკულით და გაიწეროს მისი თემატიკა;
- იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც ინტეგრირებულია პრაქტიკები, გაიზარდოს პრაქტიკის საათების რაოდენობა;
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში „მინერალოგიისა და გეოქიმიის საფუძვლები“ და „დედამიწის ქერქის ქანები“ გაიზარდოს პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების საათების რაოდენობა;
- რეკომენდირებულია დამსაქმებლებთან /პარტნიორებთან ისეთი მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს პრაქტიკის მიზანს/ებს, პრაქტიკის ხანგძლივობას და სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას;
- სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები უფრო დეტალიზებული და გამჭვირვალე გახდეს;
- სილაბუსებში მკაფიოდ გაიწეროს მიმდინარე შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები;



- რეკომენდირებულია პროგრამის სილაბუსებში აისახოს რა ვადაში შეუძლია სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლა FX-ის მიღების შემთხვევაში;
- რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

### რჩევები:

- სასწავლო კურსის სილაბუსებში აღმოიფხვრას ტექნიკური ხასიათის შეცდომები და შეივსოს ინფორმაცია სრულყოფილად;
- სასურველია პროგრამაში ჩანდეს ინგლისური ენის გარდა სტუდენტებისათვის სხვა ენების შეთავაზების შესაძლებლობა;
- სასურველია გასწორდეს სასწავლო კურსების დედამიწა-შესავალი გეოლოგიაში I და დედამიწა-შესავალი გეოლოგიაში II სალექციო თემატიკების შინაარსი;
- სასურველია, იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც ტარდება ლაბორატორიული სამუშაოები დაპრაქტიკები ცალკე საკითხად გაიწეროს უსაფრთხოების წესები და ნორმები, საწარმოო სანიტარიის, უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები;
- გასწორდეს სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასების სისტემაში მიმდინარე შეფასების და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი ქულების ჯამი, რაც საჭირო იქნება სტუდენტის დამატებით გამოცდაზე გასასვლელად (FX);
- სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსებში თითოეული აქტივობის შეფასების ქულების ხვედრითი წონა;
- სასურველია უფრო აქტიურად ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან და გაიზარდოს მათი ინფორმირებულობა პროგრამის მიერ შეთავაზებული შესაძლებლობების შესახებ;
- სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას სხვა უსდ-ებში დასაქმებული კოლეგების მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენას სიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის

შემსწავლელი მეცნიერებების (პირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

**დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:45 სთ-ზე.**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
თავმჯდომარე  
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს მდივანი  
შენგელია მარიამ

